

**საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა**

**მუსიკა და დღევანდელი მუსიკა**

**სპეციალობები:**

მუსიკის ტექნოლოგია, მუსიკის ჟურნალისტიკა, მუსიკის მენეჯმენტი.

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:**

სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი - 0805

**პროგრამის მოცულობა:** 240 კრედიტი

**პროგრამის ხელმძღვანელები:** რეზო კვიციანი, ასოცირებული პროფესორი - მარინა ქავთარაძე, ასოცირებული პროფესორი - ნანა შარიქაძე

**სწავლების ენა:** ქართული

**საბაკალავრო პროგრამის მიზანი:**

პროგრამის - " მუსიკა და დღევანდელი მუსიკა " - მიზანია მოამზადოს **სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი** მუსიკის ტექნოლოგიის, მუსიკის ჟურნალისტიკის, მუსიკის მენეჯმენტის სპეციალობით.

პროგრამის შეთავაზების მიზეზი თანამედროვე შრომითი ბაზრის გამოწვევას უკავშირდება. პროგრამის შემუშავებას წინ უძღოდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევა. შედეგებმა გვიჩვენა, რომ შრომით ბაზარზე მუსიკალური ჟურნალისტიკის, მუსიკის მენეჯმენტის, ან ელექტრონული მუსიკის სფეროში დასაქმებულთა შორის პროფესიონალიზმით ერთეულები გამოირჩევიან, რომელთაც განათლება უცხოეთში აქვთ მიღებული. დიდ უმრავლესობას კი აკლია ასეთი პროფესიონალიზმი, რაც გამოწვეულია მათი თვითგანათლებით, მხოლოდ პრაქტიკული გამოცდილებით მიღებული უნარებით, და დარგის თეორიული საფუძვლების ცოდნის უქონლობით. იმავდროულად ირკვევა, რომ ქვეყანაში მზარდია მოთხოვნა აღნიშნულ სპეციალობებზე. კონსერვატორიას საკუთარი მისიის, აკადემიური სწავლების მრავალწლიანი გამოცდილების, აკადემიური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით აქვს რეალური შესაძლებლობა ახალი საგანმანათლებლო პროგრამის - "მუსიკა და დღევანდელი მუსიკა" უზრუნველყოს ისეთი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც თავისი დარგობრივი ცოდნით და ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარით შეავსებენ დღეს ქვეყანაში არსებულ პროფესიულ დეფიციტს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს უსდ-

ებში არ ხორციელდება მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ამზადებს მუსიკის ბაკალავრს მუსიკალური ჟურნალისტიკის, მუსიკის მენეჯმენტის და მუსიკის ტექნოლოგიის სპეციალობით. პროგრამა ითვალისწინებს არჩეული სპეციალობით სტუდენტებისთვის დარგობრივი, ზოგადმუსიკალური და მულტიდისციპლინური ცოდნის მიცემას, კვლევისათვის, შემოქმედებითი და პრაქტიკული მოღვაწეობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებას, პროგრამის ბლოკებში გაერთიანებული სასწავლო კურსების/მოდულების, შემოქმედებით-პრაქტიკული კომპონენტების ათვისებისა და დაუფლების გზით. საბაკალავრო პროგრამა მოამზადებს ბაკალავრს სპეციალობის შესაბამისი პრაქტიკული საქმიანობისათვის და მისცემს შესაძლებლობას გააგრძელოს სწავლა მაგისტრატურაში.

პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია მოღვაწეობა განახორციელოს შემოქმედებით, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, დარგობრივი ჟურნალისტიკისა და სარედაქტორო საქმიანობის სფეროებში, კულტურულ მედია სივრცეში (ბეჭდვითი მედია, ტელევიზია, რადიო, ახალი მედიები); შემოქმედებით გაერთიანებებსა და ინდივიდუალური არტისტული საქმიანობის სფეროებში; სახელოვნებო პროფილის რეგიონულ და მუნიციპალურ განყოფილებებში; მუსიკალურ სტუდიებში; სარეკლამო ბიზნესში; შემოქმედებით სტუდიებში; კულტურის მენეჯმენტის და მარკეტინგის სფეროებში; საკონცერტო დაწესებულებებში; საპროდიუსერო სამსახურში; კულტურის დაწესებულებებში საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში.

#### **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვებისათვის მსურველებს უნდა ჰქონდეთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ატესტატი.

პროგრამაზე ჩაირიცხებიან პირები, რომლებმაც გაიარეს ერთიანი ეროვნული გამოცდები.

#### **სწავლის შედეგები:**

##### **ცოდნა და გაცნობიერება (ყველა სპეციალობისათვის)**

- კურსდამთავრებულს აქვს მუსიკალური კულტურის ისტორიის, მუსიკალური ხელოვნების, მუსიკალური აზროვნების, შემოქმედებითი ფსიქოლოგიის ფართო ცოდნა სოციალურ-კულტურულ კონტექსტში;
- იცნობს არჩეული სპეციალობის ძირითად თეორიებსა და კონცეფციებს.
- აქვს მუსიკის თეორიის საფუძვლების, მუსიკალური ნაწარმოების ანალიზის, მსოფლიო და ქართული მუსიკის ისტორიის საფუძვლების, მუსიკალური სტილების და ჟანრების ფართო ცოდნა;
- აქვს ეროვნული მუსიკალური ფოლკლორის თეორიული და პრაქტიკულ-სამემსრულებლო ასპექტების ცოდნა;
- იცნობს სამუსიკო მემსრულებლობის პრაქტიკულ ასპექტებს;
- აქვს ზოგადი ცოდნა ჰუმანიტარული დისციპლინების სფეროში;
- ფლობს ქართული ენის და მეტყველების კულტურის ნორმებს;

### **ცოდნა და გაცნობიერება (მუსიკის ტექნოლოგიის სპეციალობით)**

- იცნობს კომპოზიციის საფუძვლებს და ისტორიულად ჩამოყალიბებული საკომპოზიტორო სკოლების ტრადიციებს;
- აქვს ბგერათწარმოსახვის მრავალფეროვანი ხერხების, საკომპოზიტორო ტექნოლოგიების, არანჟირების სფეროში ფართო ცოდნა;
- აქვს ელექტრონული მუსიკალური ინსტრუმენტების სხვადასხვა სახეობის, მათი ფუნქციონირების თავისებურებების ცოდნა;
- იცნობს ექსპერიმენტული და ელექტროაკუსტიკური მუსიკის ისტორიას და ესთეტიკას;
- აქვს ელექტრონულ-კომპიუტერული მუსიკის ძირითადი ჟანრებისა და ფორმების ცოდნა;
- იცნობს ელექტრონულ-კომპიუტერული მუსიკის ისტორიასთან, თეორიასთან და პრაქტიკასთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიას;
- აქვს სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტების აკუსტიკური თავისებურებების, სივრცის აკუსტიკის და ელექტროაკუსტიკის საფუძვლების ცოდნა;
- აცნობიერებს მუსიკალური აკუსტიკის მნიშვნელობას და როლს საკომპოზიტორო შემოქმედებაში;
- აქვს მუსიკალური ინსტრუმენტების შექმნის ისტორიის, მათი კონსტრუქციის, დიაპაზონის, აპლიკატურის, ტექნიკური და მხატვრული შესაძლებლობების ცოდნა;

### **ცოდნა და გაცნობიერება (მუსიკის ჟურნალისტიკის სპეციალობისათვის)**

- აცნობიერებს მუსიკის ჟურნალისტიკის ადგილს თანამედროვე საზოგადოებაში, ჟურნალისტიკის მისიას და პროფესიის თავისებურებებს;
- აცნობიერებს მუსიკის ჟურნალისტიკის დარგის სპეციფიკას და მის ურთიერთკავშირს ხელოვნების სხვა დარგებთან;
- აქვს მუსიკის ჟურნალისტიკის თავისებურებების და მისი მიმართულებების (ინფორმაციული, საგანმანათლებლო, გასართობ-რეკრეაციული) ცოდნა;
- აქვს ჟურნალისტიკის სხვადასხვა ჟანრების თავისებურებების ცოდნა და იცის, როგორ მოახდინოს მათი მოდიფიკაცია ბეჭდური მედიის, რადიოს, ტელევიზიისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების კონტექსტში, საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში;
- იცნობს მუსიკის დარგობრივი ჟურნალისტიკის და მედიის შესაძლებლობებს, კვლევის მეთოდებს, ახალ ტექნოლოგიებს, ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის თეორიულ საფუძვლებს, შეძენილი აქვს სამუსიკო სფეროში მუშაობისათვის საბაზისო პროფესიული უნარ-ჩვევები, რომელიც აუცილებელია ჟურნალისტური საქმიანობის დასაწყებად სახელოვნებო, კერძოდ სამუსიკო სფეროში;
- იცის ბეჭდური, ტელე-რადიო და ინტერნეტ-მედიის სფეროთა თავისებურებები.
- იცნობს სამუსიკო ხელოვნების მენეჯმენტის ძირითად თეორიებსა და კონცეფციებს.

### **ცოდნა და გაცნობიერება (მუსიკის მენეჯმენტის სპეციალობისათვის)**

- კურსდამთავრებული შეიძენს ზოგადად მენეჯმენტის და კერძოდ კულტურის მენეჯმენტის საფუძვლების ცოდნას სოციალურ-კულტურულ კონტექსტში;
- იცნობს კულტურის პოლიტიკის და ეკონომიკის ძირითად საკითხებს, პროექტის მართვის საფუძვლებს;
- შეიძენს მუსიკალურ-შემოქმედებითი ორგანიზაციების მენეჯმენტის, მარკეტინგის, სტრატეგიული მართვის კომპეტენციებს;
- იცნობს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის (აკმ) დაცვის, შენახვის და განვითარების თანამედროვე საერთაშორისო და ეროვნულ მექანიზმებს, მათი მუშაობის სამართლებრივ და სოციალურ საფუძვლებს, მარეგულირებელ აქტებს;
- აქვს დღეს მსოფლიოში არსებული საერთაშორისო სისტემების ცოდნა, იცნობს, თუ რა განსაზღვრავს ინტერკულტურულ/ქროს-კულტურული დიალოგის პოლიტიკას და სტრატეგიას. შესწავლილი აქვს სამაგალითო ქეისები და იმ ორგანიზაციების საქმიანობა, რომლებიც ქმნიან ძირითად მიმართულებებს საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობებში;
- აქვს კულტურის მენეჯმენტისათვის აუცილებელი და საერთაშორისო ეკონომიკურ-სამართლებრივი პრინციპების საფუძვლიანი ცოდნა; იცნობს, რა მეთოდოლოგიით უნდა იმუშაოს სხვადასხვა ეკონომიკურ-საფინანსო წყაროებთან; იცნობს ბიუჯეტის დაგეგმვის და წარდგენის მეთოდებს;
- იცნობს კულტურის მარკეტინგის ძირითად პრინციპებს, თეორიებს და ცნებებს, ფინანსურ ინსტრუმენტებს, ღირებულების შეფასების მეთოდებს;
- იცნობს საავტორო უფლებების დაცვის დასავლურ მექანიზმებს, იცნობს და იყენებს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებს.

### **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი (ყველა სპეციალობისათვის)**

- შეძლებს კონკურენტულ გარემოში საკუთარი შესაძლებლობების განვითარებას და რეალიზებას, მიღებული საბაზისო ცოდნის და უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენებას;
- შეძლებს სხვადასხვა ეპოქისა და სტილის მუსიკის აღქმას, მის ჟანრულ და ენობრივ თავისებურებებში გარკვევას, მუსიკალურ-ისტორიული პროცესების გააზრებას და განზოგადებას;
- შეადგენს და განახორციელებს სხვადასხვა ტიპის შემოქმედებით პროექტს;
- გამოიმუშავებს ქეის-პრობლემის პრაქტიკული გადაჭრის გზებს;
- გამოიმუშავებს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებში მუშაობის უნარს;
- კურსდამთავრებული შეიძენს მომდევნო საფეხურზე (მაგისტრატურა) სწავლის გაგრძელებისთვის საჭირო ცოდნასა და უნარს.

### **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი (მუსიკის ტექნოლოგიის სპეციალობით)**

- დაეუფლება საკომპოზიტორო ხელწერას და შეძლებს ელექტროაკუსტიკური კომპოზიციების შექმნას;

- შეიძენს სივრცის მუსიკალური გახმოვანების უნარს;
- შეძლებს სპეციალური ელექტრონული ტექნიკის (სინთეზატორი) მეშვეობით ჟღერადი მატერიის გარდაქმნას;
- შეიძენს ელექტრონულ აპარატურასთან მუშაობის უნარს;
- შეიძენს ბგერის ტრანსლაციისა და ჩაწერის სფეროში უნარებს;
- შეძლებს მუსიკალური მასალის გადამუშავებას რადიო, კინო და ტელეგადაცემებისათვის;
- შეძლებს კინოფილმისა და დრამატული სპექტაკლის მუსიკალურ გაფორმებას;
- შეძლებს მუსიკალური ნაწარმოების გადატანას სხვა საკრავისთვის (ან საკრავთა ჯგუფისთვის);
- შეიძენს მცირე ფორმის მუსიკალური ნაწარმოების შექმნის უნარს;
- შეძლებს მუსიკალური აკუსტიკის სფეროში მიღებული ცოდნის გამოიყენებას პრაქტიკულ მოღვაწეობაში.

#### **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი (მუსიკის ჟურნალისტიკის სპეციალობისათვის)**

- გამომუშავებული აქვს მუსიკის ჟურნალისტიკის სფეროში მუშაობისათვის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევები;
- ბაკალავრს შეუძლია წყაროებთან მუშაობა, აქტუალური სამუსიკო თემების განსაზღვრა, ინფორმაციის მოპოვება, გადამოწმება, დამუშავება და სწორად ორგანიზება მუსიკის შესახებ სხვადასხვა სახის მედია-ტექსტის შექმნის მიზნით;
- აქვს მასალის მომზადებისას პრიორიტეტების განსაზღვრის, მათი გააზრების, პრობლემაზე ადეკვატურად რეაგირების უნარი;
- ფლობს მუსიკალური ხელოვნების და კულტურის სფეროში შემოქმედებითი პროექტების (სარეპერტუარო გეგმები, კონცერტები, ფესტივალები, კონკურსები), რადიოსა და ტელევიზიაში მუსიკალური პროგრამების შედგენის, რედაქტირების და განხორციელების უნარებს;
- შეუძლია საკუთარი შესაძლებლობების განვითარება და რეალიზება, მიღებული საბაზისო ცოდნის და უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენება კონკურენტულ გარემოში.
- შეუძლია ინფორმაციის ობიექტურად მიწოდება, კორექტულად და გამართულად წერა და მეტყველება, რაც აისახება მის მიერ მომზადებულ პროდუქციაზე.
- შეუძლია სამუსიკო ხელოვნების სფეროში ანალიტიკური სტატიების, ნარკვევების, კრიტიკული წერილების შექმნა, ტელე-რადიო გადაცემების მომზადება.
- აქვს პრეზენტაციის და მომხმარებელზე ორიენტაციის უნარი;

#### **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი (მუსიკის მენეჯმენტის სპეციალობისათვის)**

- გამომუშავებული აქვს სამუსიკო ხელოვნების მენეჯმენტისათვის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევები;
- შეუძლია მართვის მეთოდების პრაქტიკული გამოყენება სახელოვნებო სფეროში საქმიანობისას;
- შეიძენს ბიზნეს გეგმის და ბიუჯეტის შედგენის უნარს.

- შეძლებს სახელოვნებო დაწესებულებების მართვას, პროექტის დაგეგმვას და განხორციელებას; სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების მოწყობას.

#### **დასკვნის უნარი (ყველა სპეციალობისათვის)**

- აქვს შემოქმედებითი პრობლემების ანალიზის და მათი გადაწყვეტის უნარი.
- შეუძლია სამუსიკო ხელოვნების დარგისათვის დამახასიათებელი მონაცემების მოძიება, განმარტება და ანალიზი თანამედროვე მეთოდების გამოყენებით;
- აქვს კრიტიკული აზროვნების უნარი, შეუძლია საკუთარი და სხვის მიერ დაწერილი სამეცნიერო სტატიების, ნარკვევების, კვლევის მასალების, ქეისების ანალიზი და შეფასება;
- გააჩნია აზროვნების კულტურა, განზოგადების, ანალიზის, კრიტიკული გააზრების, სისტემატიზაციის, პროგნოზირების უნარი;
- აქვს არგუმენტირებული მსჯელობის, ანალიზის, პრობლემის სწორად იდენტიფიკაციის უნარი.
- 

#### **დასკვნის უნარი (მუსიკის მენეჯმენტის სპეციალობისათვის)**

- აქვს სხვადასხვა ტიპის მართვის სისტემის ანალიზის, მასში ადვილად ორიენტაციის და გარეშე ფაქტორთა ზეგავლენის სწორად შეფასების უნარი;
- საჭიროებათა ანალიზის უნარი ეროვნულ ნიადაგზე; აქვს საერთაშორისო კონტრაქტების შეფასების და ანალიზის უნარები და გამომუშავებული აქვს სამართლებრივ საკითხებში სწრაფი ორიენტირების ჩვევები;

#### **კომუნიკაციის უნარი (ყველა სპეციალობისათვის)**

- აქვს საზოგადოებასთან და კოლეგებთან კომუნიკაციის უნარი, ინდივიდუალურ და ჯგუფურ ფორმატში პროდუქტიულად თანამშრომლობს მათთან და პატივისცემით ეპყრობა განსხვავებულ აზრს;
- აქვს პრეზენტაციის უნარი;
- აქვს საჯარო გამოსვლის უნარი;
- აქვს მენეჯერული საქმიანობის უნარი;
- აქვს სოციალურ პარტნიორებთან (საკონცერტო ორგანიზაციებთან, მედიის პერიოდულ ორგანოებთან და სხვ) კომუნიკაციის უნარი ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- ფლობს ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს, წერითი და ზეპირი მეტყველების სპეციფიკას, აქვს უნარი ააგოს საკუთარი მეტყველება კომუნიკაციური და ეთიკური ნორმების შესაბამისად;
- იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია მათი შემოქმედებითი და კრიტიკული გამოყენება დარგისთვისა და შესაბამისი სპეციალობის კონტექსტში;

#### **სწავლის უნარი (ყველა სპეციალობისათვის)**

- აქვს სპეციფიური სამუსიკო შემოქმედებითი მონაცემები, რომელიც არჩეულ სფეროში ახალი ცოდნის მიღების საშუალებას აძლევს;
- აქვს უნარი თავად დაგეგმოს სწავლის სტრატეგია და შეასრულოს სასწავლო პროცესის მოთხოვნები, ადეკვატურად აფასებს საკუთარი სწავლის პროცესს და ესმის, როგორ გააუმჯობესოს მიღებული შედეგი;
- აქვს სხვადასხვა წყაროებთან მუშაობის, ლიტერატურის, დოკუმენტების დამუშავება-შესწავლის უნარი;
- აქვს თვითგანათლების, კვალიფიკაციის ამაღლების უნარი;
- შეუძლია პროფესიული წინსვლის მიზნით სწავლის სამომავლო მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა და დაგეგმვა;
- აქვს საკუთარი სწავლის სხვადასხვა მიმართულებებით ორგანიზაციის უნარი;
- შეუძლია მიღებული ცოდნა გამოიყენოს, როგორც მყარი საფუძველი მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისთვის, მათ შორის შემდგომ საფეხურზე - მაგისტრატურაში სწავლისთვის.

### ღირებულებები (ყველა სპეციალობისათვის)

- აქვს შემოქმედებითი და მხატვრული ღირებულებანი და ზრუნავს მათ განვითარებაზე;
- აქვს საზოგადოებაში მიღებული მორალურ-ეთიკური და სამართლებრივი სოციალური ურთიერთობების ნორმების დაცვის უნარი;
- ნებისმიერ სიტუაციაში იცავს კოლეგებთან ურთიერთობის ეთიკურ ნორმებს.
- გაცნობიერებული აქვს თავისი შემოქმედებითი/პროფესიული საქმიანობის მნიშვნელობა და იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს.
- იჩენს პატივისცემას მუსიკალური მემკვიდრეობის და კულტურული ტრადიციების მიმართ, ტოლერანტობას სხვა მუსიკალურ კულტურათა მიმართ.
- აფასებს საკუთარ და კოლეგების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისადმი.

### სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

საბაკალავრო პროგრამის განხორციელების აუცილებელი პირობაა შემოქმედებით/პრაქტიკული და თეორიული სწავლების მეთოდების ორგანული ინტეგრაცია, სტუდენტის ინდივიდუალური შემოქმედებითი პოტენციალისა და უნარ-ჩვევების განვითარება შესაბამისი სპეციალობის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამაზე სწავლებისას სტუდენტის პროფესიული დაოსტატების ხელშეწყობის მიზნით უპირატესობა ენიჭება ინდივიდუალური მეცადინეობის მეთოდს. სპეციალობის ძირითად მოდულში შემავალი სასწავლო კურსების შესწავლა შემოქმედებითი ამოცანების თანდათანობითი გართულების მეთოდს ეფუძნება.

### სწავლების პროცესში გამოიყენება აგრეთვე შემდეგი ფორმები:

- ლექციები და პრაქტიკული მეცადინეობები/სემინარები;
- სტუდიური - რეპეტიციული მეცადინეობები, მათ შორის შემოქმედებითი პროექტების (კონფერენციები, კონცერტები, კონკურსები, ფესტივალები) განსახორციელებლად;
- სწავლება პროფესიულ გარემოში მემორანდუმის ფარგლებში პრაქტიკა საშემსრულებლო სახელოვნებო დაწესებულებებში - ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი, ე. მიქელაძის სახ. ეროვნული მუსიკალური ცენტრი, კონსერვატორიის საკონცერტო დარბაზები, საოპერო სტუდია და სტუდენტური სიმფონიური ორკესტრი, ხმის ჩამწერი სტუდია; კლასიკური მუსიკის რადიო „მუზა“; ჟურნალი „მუსიკა“, საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნება“, საზოგადოებრივი მაუწყებელი;
- სპეციალობის ძირითად ბლოკში შემაჯავლი სასწავლო კურსების შესწავლა თანდათანობითი გართულების პრინციპით;
- არჩეული დარგის გამოჩენილ მოღვაწეთა პროფესიული მასტერკლასები;
- პრაქტიკულ/შემოქმედებითი დავალებების თეორიული/ისტორიული ასპექტების შესწავლა.

#### მეთოდები:

- წიგნზე, სანოტო და აუდიო მასალაზე მუშაობის მეთოდი;
- დემონსტრირების მეთოდი;
- პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება;
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი;
- სხვადასხვა სახის შემოქმედებითი მიღწევების ანალიზის მეთოდი;
- პროფესიულ საკითხებზე დისკუსიების, დებატებისა და დისკუტების იმიტირება - წარმართვა;
- როლური და სიტუაციური თამაშის მეთოდი;
- პრაქტიკული სწავლების მეთოდი;
- ქეის სწავლება;
- პროფესიული უნარების ფორმირების და განვითარების მიზნით სტუდენტის დამოუკიდებელი, აუდიტორიის გარეშე მუშაობის მეთოდი.

#### სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება საქართველოში მოქმედი კანონდებლობის შესაბამისად შემდეგი სქემით:

ქულები	ქულების ასოითი აღნიშვნა	შეფასების აღნიშვნა
91 – 100	A	ფრიადი
81 – 90	B	ძალიან კარგი
71 – 80	C	კარგი



61 – 70	D	დამაკმაყოფილებელი
51 – 60	E	საკმარისი
41 – 50	FX	ვერ ჩააბარა
0 – 40	F	ჩაიჭრა

### პროგრამის სტრუქტურა:

1. სპეციალური სასწავლო კურსების/მოდულების ბლოკი – 100 კრედიტი
2. ზოგადმუსიკალური სასწავლო კურსების/მოდულების ბლოკი - 60 კრედიტი
3. საუნივერსიტეტო სასწავლო კურსების ბლოკი - 35 კრედიტი
4. დარგობრივი პრაქტიკა - 15 კრედიტი
5. საბაკალავრო ნაშრომი - 10 კრედიტი
6. არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკი - 20 კრედიტი

### საბაკალავრო პროგრამის დეტალური აღწერა სპეციალობების მიხედვით

სპეციალობა: მუსიკის ტექნოლოგია

#### I . სპეციალური სასწავლო კურსების/მოდულების ბლოკი – 100 კრედიტი

1. შესავალი ელექტროაკუსტიკურ მუსიკაში - 3 კრედიტი
2. მუსიკალური აკუსტიკა და ფსიქოაკუსტიკა - 6 კრედიტი
3. ექსპერიმენტული და ელექტროაკუსტიკური მუსიკის ისტორია/ესთეტიკა - 6 კრედიტი
4. ელექტრონული კომპოზიცია (აუდიოსინთეზი, კონკრეტული მუსიკა) - 15 კრედიტი
5. ალგორითმული კომპოზიცია და ინტერაქტიური მოდელები - 12 კრედიტი
6. ჩაწერის ტექნიკა (მიკროფონია, ჩაწერა, ედიტინგი, მასტერინგი) - 15 კრედიტი
7. სივრცის გახმოვანება - 3 კრედიტი
8. კომპიუტერული ნოტაცია - 6 კრედიტი
9. კინოსა და თეატრის მუსიკა - 6 კრედიტი
10. სატელევიზიო, სარეკლამო და თამაშების მუსიკა - 6 კრედიტი
11. მუსიკის პროგრამირება - 10 კრედიტი
12. ლაიველექტრონიკა - 12 კრედიტი

#### II. ზოგადმუსიკალური სასწავლო კურსების/მოდულების ბლოკი - 60 კრედიტი

1. ინსტრუმენტული კომპოზიცია – 6 კრედიტი
2. საკრავთმცოდნეობა და გაორკესტრება -- 6 კრედიტი
3. შესავალი მუსიკის ისტორიაში: მსოფლიო მუსიკის სტილები და ჟანრები - 12 კრედიტი
4. მუსიკის თეორიის საფუძვლები - 12 კრედიტი
5. მუსიკალური ნაწარმოების ანალიზი - 6 კრედიტი
6. ქართული მუსიკალური ფოლკლორი - 6 კრედიტი
7. ფორტეპიანოზე დაკვრის პრაქტიკული კურსი - 12 კრედიტი

### III. საუნივერსიტეტო სასწავლო კურსების ბლოკი - 35 კრედიტი

1. ქართული ენა და მეტყველების კულტურა - 3 კრედიტი
2. უცხო ენა - 8 კრედიტი
3. ხელოვნების ისტორია - 6 კრედიტი
4. შესავალი აზროვნების ისტორიაში - 3 კრედიტი
5. ზოგადი და მუსიკალური ესთეტიკა - 3 კრედიტი
6. არტ მენეჯმენტი - 6 კრედიტი
7. ზოგადი და მუსიკალური შემოქმედების ფსიქოლოგია - 6 კრედიტი

### IV. დარგობრივი პრაქტიკა - 15 კრედიტი

### V. საბაკალავრო ნაშრომი - 10 კრედიტი

### VI. არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკი - 20 კრედიტი

### სპეციალობა: მუსიკის ჟურნალისტიკა

#### I სპეციალური სასწავლო კურსების/მოდულების ბლოკი – 100 კრედიტი

1. ჟურნალისტიკის შესავალი და მედიათეორიები - 6 კრედიტი
2. მუსიკის ჟურნალისტიკა - 30 კრედიტი
3. მუსიკის კრიტიკა - 12 კრედიტი
4. მუსიკალური პროგრამების დრამატურგია და რედაქტირება - 6 კრედიტი
5. თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები და - 6 კრედიტი
6. ბეჭდური მედია (თეორია და პრაქტიკა) - 6 კრედიტი
7. სამაუწყებლო მედია (თეორია და პრაქტიკა) - 6 კრედიტი
8. საზოგადოებასთან ურთიერთობა - 6 კრედიტი
9. მედია სამართალი და მედიაეთიკა - 6 კრედიტი
10. მედიაენა - 4 კრედიტი
11. მედია მენეჯმენტი - 6 კრედიტი

12. არტ მენეჯმენტი - 6 კრედიტი

**II. ზოგადმუსიკალური სასწავლო კურსების/მოდულების ბლოკი - 60 კრედიტი**

1. შესავალი მუსიკის ისტორიაში: მსოფლიო მუსიკის სტილები და ჟანრები (ევროპული და არაევროპული მუსიკა) - 12 კრედიტი
2. ქართული მუსიკალური ფოლკლორი - 6 კრედიტი
3. მუსიკის თეორიის საფუძვლები - 12 კრედიტი
4. საკრავთმცოდნეობა - 3 კრედიტი
5. ქართული მუსიკის ისტორია - 3 კრედიტი
6. მუსიკალური ნაწარმოების ანალიზი - 6 კრედიტი
7. მუსიკალური თეატრის ისტორია - 6 კრედიტი
8. უახლესი მუსიკის ისტორია - 3 კრედიტი
9. ჟაზის და პოპ-მუსიკის ისტორია - 3 კრედიტი
10. მუსიკა თეატრსა და კინოში - 3 კრედიტი
11. მუსიკა ტექნიკურ მედიაში -3 კრედიტი

**III. საუნივერსიტეტო სასწავლო კურსების/მოდულების ბლოკი - 35 კრედიტი**

1. აკადემიური წერა და რედაქტირება - 3 კრედიტი
2. ქართული ენა და მეტყველების კულტურა - 3 კრედიტი
3. უცხო ენა - 8 კრედიტი
4. შესავალი აზროვნების ისტორიაში - 3 კრედიტი
5. ზოგადი და მუსიკალური ესთეტიკა - 3 კრედიტი
6. ხელოვნების ისტორია - 6 კრედიტი
7. IT ტექნოლოგიები - 3 კრედიტი
8. ზოგადი და მუსიკალური შემოქმედების ფსიქოლოგია - 6 კრედიტი

**IV. დარგობრივი პრაქტიკა - 15 კრედიტი**

**V. საბაკალავრო ნაშრომი - 10 კრედიტი**

**VI. არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკი - 20 კრედიტი**

სპეციალობა: მუსიკის მენეჯმენტი

**I.სპეციალური სასწავლო კურსების/მოდულების ბლოკი – 100 კრედიტი**

1. მენეჯმენტის საფუძვლები – 6 კრედიტი
2. კულტურის მენეჯმენტი - 12 კრედიტი
3. ეთიკა კულტურის მენეჯმენტში –3 კრედიტი

4. სტრატეგიული მენეჯმენტი – 6 კრედიტი
5. ლიდერობა და ადამიანური რესურსების მენეჯმენტი – 4 კრედიტი
6. პროექტის მენეჯმენტი – 6 კრედიტი
7. ანტერპრენერობა კულტურაში - 6 კრედიტი
8. საკანონმდებლო ბაზა კულტურაში - 3 კრედიტი
9. საერთაშორისო კონტრაქტები და საავტორო უფლებები – 3 კრედიტი
10. კულტურის ეკონომიკა – 6 კრედიტი
11. კულტურის პოლიტიკა – 6 კრედიტი
12. კულტურის მარკეტინგი – 3 კრედიტი
13. კულტურის დაფინანსება, ფანდრაიზინგი და სპონსორობა - 3 კრედიტი
14. საერთაშორისო ურთიერთობები კულტურაში – 3 კრედიტი
15. საზოგადოებასთან ურთიერთობა – 6 კრედიტი
16. საშემსრულებლო ხელოვნების მენეჯმენტი – 3 კრედიტი
17. კულტურის (დაწესებულებების) თეატრის მართვა – 6 კრედიტი
18. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და მენეჯმენტი – 6 კრედიტი
19. მუსიკალური ბიზნეს მენეჯმენტის საფუძვლები – 3 კრედიტი
20. საინფორმაციო ტექნოლოგიები მენეჯმენტში – 6 კრედიტი

## **II.ზოგადმუსიკალური სასწავლო კურსების/მოდულების ბლოკი - 60 კრედიტი**

1. მუსიკის თეორიის საფუძვლები – 12 კრედიტი
2. შესავალი მუსიკის ისტორიაში: მსოფლიო მუსიკის სტილები და ჟანრები – 12 კრედიტი
3. მუსიკალური თეატრის ისტორია – 6 კრედიტი
4. ჯაზისა და პოპის ისტორია – 3 კრედიტი
5. საკრავთმცოდნეობა – 6 კრედიტი
6. ქართული მუსიკალური ფოლკლორი – 6 კრედიტი
7. ინსტრუმენტი/ვოკალი/დირიჟორობა – 15 კრედიტი

## **III. საუნივერსიტეტო სასწავლო კურსების/მოდულების ბლოკი - 35 კრედიტი**

1. უცხო ენა – 8 კრედიტი
2. ზოგადი და მუსიკალური შემოქმედების ფსიქოლოგია – 6 კრედიტი
3. შესავალი აზროვნების ისტორიაში – 3 კრედიტი
4. კულტურის სოციოლოგია – 6 კრედიტი
5. ზოგადი და მუსიკალური ესთეტიკა – 3 კრედიტი
6. ხელოვნების ისტორია – 6 კრედიტი
7. ქართული ენა და მეტყველების კულტურა – 3 კრედიტი

## **IV. დარგობრივი პრაქტიკა - 15 კრედიტი**

## **V. საბაკალავრო ნაშრომი - 10 კრედიტი**

## VI. არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკი - 20 კრედიტი

### პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური და ადამიანური რესურსები:

საბაკალავრო პროგრამის განსახორციელებლად კონსერვატორიას გააჩნია შემოქმედებითი, პრაქტიკული და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისთვის აუცილებელი, სანიტარული და ხანძარსაწინააღმდეგო ნორმების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: სათანადოდ მომზადებული (მუსიკალური ინსტრუმენტები, კომპიუტერები, ბგერითი იზოლაცია, ვენტილაცია, გათბობის სისტემა, მერხები, დაფები, სადემონსტრაციო მოწყობილობა – აუდიო და ვიდეო ტექნიკა) სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, საკონცერტო და სარეპეტიციო დარბაზები, კომპიუტერული მუსიკის ლაბორატორია. სტუდენტი უზრუნველყოფილი იქნება ბიბლიოთეკების, ფონოთეკის მომსახურებით (ბიბლიოთეკის წიგნადი, სანოტო და აუდიო ფონდებით, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერით). პრაქტიკა განხორციელდება კონსერვატორიის დიდი დარბაზის ადმინისტრაციაში, ფოლკლორის საერთაშორისო ცენტრში, სხვადასხვა მედიასა და საინფორმაციო ცენტრებში/სამსახურებში, საკონცერტო ორგანიზაციებში.

### პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

კონკურსის საფუძველზე მიღებული აკადემიური პერსონალი, მოწვეული მასწავლებლები/სპეციალისტები და დამხმარე პერსონალი.

### პროგრამის გაუმჯობესების სტრატეგია

პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების, სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კურსების წამყვანი აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლების და სტუდენტების გამოკითხვის შედეგად მიღებული შეფასებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით პროგრამა ექვემდებარება განახლებას, საჭიროების შემთხვევაში - მოდიფიცირებას.

- არჩევითი მოდულების/სასწავლო კურსების შემუშავება და სტუდენტთათვის შეთავაზება;
- შესაბამისი პროფილის ქართულენოვან სახელმძღვანელოებზე მუშაობის აქტივიზაცია;
- პროგრამისადმი ინტერესის გაძლიერება დამსაქმებლების მხრიდან;
- უცხოელი სტუდენტების მოზიდვა სწავლის დაბალი გადასახადით მსოფლიოში არსებული სწავლის საფასურთან შედარებით;
- პროფესიის დადებითი იმიჯის გავრცელება;
- დამატებითი დაფინანსების მოზიდვა სახელმწიფოსა და სხვა სტრუქტურების, დონორი ორგანიზაციების, ფონდების მხრიდან;
- ევროპის წამყვან უმაღლეს სამუსიკო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ინტენსიური თანამშრომლობა და მათი გამოცდილების გაზიარება.

